ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 20-89

"30" დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 64-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, 161-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" 25-ე მუხლის საფუძველზე, ქ. თბილისის საკრებულო ადგენს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობად მიჩნეულ იქნეს ქალაქის ქუჩებზე, მოედნებსა და ტროტუარებზე, ასევე დასასვენებელ ადგილებში მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან ვაჭრობა.

2. მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან ვაჭრობისათვის დასაშვები საქონლის ნომენკლატურა განისაზღვრება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით.

3. საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილებში ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილები მოეწყოს ისე, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ ქალაქის იერსახის მოთხოვნებს და არ შეაფერხონ ფეხით მოსიარულეთა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება. ვაჭრობა განხორციელდეს მოქმედი სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების, სხვა ნორმებისა და წესების დაცვით.

4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით რეგულირდება გარე ვაჭრობის კონკრეტული ადგილები, ამ ადგილებით სარგებლობის ფორმები, სადღესასწაულო და წინასადღესასწაულო დღეებში, ასევე სხვა ფართომასშტაბიანი ღონისძიებებისა და აქციების მოწყობისას გარე ვაჭრობა და ამისათვის განახსახორციელებელი საჭირო ღონისძიებები;

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 29 დეკემბრის N4-27 გადაწყვეტილება.

6. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი
„ქ. თბილისში გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ“
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ

ა) საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს (შემდგომში თვითმმართველობის კოდექსი) მიღებით, რომლის თანახმად, დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ახალ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან არის შესაბამისობაში მოსაყვანი. ამასთან, დღეს მოქმედი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას მიეკუთვნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრობისა და ბაზრობების რეგულირება.

გარე ვაჭრობის ადგილების დადგენა და ვაჭრობისათვის დასაშვები საქონლის ნომენკლატურის განსაზღვრა ქალაქ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით დავალებული ქონდა ქ. თბილისის მთავრობას, ვინაიდან საკითხის სამართლებრივი დარეგულირება უნდა მოხდეს ნორმატიული ხასიათის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო დღესდღეობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა აღარ გამოსცემს ასეთი სახის აქტს, ზემოაღნიშნული საკითხის დარეგულირება მოხდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაგენილი წესით.

ბ) პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტით მტკიცდება ქალაქ თბილისში გარე ვაჭრობის სფეროში შემდგომში გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი.

გ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, არ მოახდენს გავლენას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. პროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებსა და იგი არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებიც მოექცევიან ამ პროექტის რეგულირების სფეროში.

დ) პროექტის ავტორი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ე) პროექტის წარმდგენი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი